

შპს რეფიქსი
ს/კ 404439318

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისთვის.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6

შპს "რეფიქსი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარი)			
	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 387 240	1 101 810
არამატერიალური აქტივები	5	8 139	11 248
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 395 379	1 113 058
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	87 664	89 867
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	167 546	174 829
გადახდილი ავანსები		4 885	147 115
მარაგები	8	1 956 130	1 343 040
წინასწარ გადახდილი გადასახადები		6 669	5 248
სხვა მიმდინარე აქტივები		56 993	42 575
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 279 887	1 802 674
სულ აქტივები		3 675 266	2 915 732
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 192 038	821 021
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		1 192 038	821 021
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	1 511 430	1 528 553
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	22 558
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 511 430	1 551 111
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	282 851	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	688 947	528 927
საგადასახადო ვალდებულებები			7 376
სხვა ვალდებულებები		-	7 297
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		971 798	543 600
სულ ვალდებულებები		2 483 228	2 094 711
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 675 266	2 915 732

დირექტორი: ლაშა დაშნიანი

შპს "რეფიქსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარში)			
	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 387 240	1 101 810
არამატერიალური აქტივები	5	8 139	11 248
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 395 379	1 113 058
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	87 664	89 867
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	167 546	174 829
გადახდილი ავანსები		4 885	147 115
მარაგები	8	1 956 130	1 343 040
წინასწარ გადახდილი გადასახადები		6 669	5 248
სხვა მიმდინარე აქტივები		56 993	42 575
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 279 887	1 802 674
სულ აქტივები		3 675 266	2 915 732
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 192 038	821 021
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		1 192 038	821 021
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	1 511 430	1 528 553
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	22 558
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 511 430	1 551 111
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	282 851	-
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	688 947	528 927
საგადასახადო ვალდებულებები		-	7 376
სხვა ვალდებულებები		-	7 297
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		971 798	543 600
სულ ვალდებულებები		2 483 228	2 094 711
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 675 266	2 915 732

დირექტორი: ლაშა დამნიანი



შპს "რეფიქსი"		
მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)		
	შენიშვნა	2020
ამონაგები	12	6 059 195
თვითღირებულება	13	(4 460 418)
საერთო მოგება		1 598 777
სხვა შემოსავლები		8 579
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(781 097)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(67 372)
სხვა ხარჯები		(22 449)
საოპერაციო მოგება		736 439
ფინანსური შემოსავალი		843 787
ფინანსური ხარჯი		(1 209 227)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		18
მოგება დაბეგვრამდე		371 017
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		371 017
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		371 017

დირექტორი: ლაშა დაშნიანი

შპს "რეფიქსი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	12	6 059 195
თვითღირებულება	13	(4 460 418)
საერთო მოგება		1 598 777
სხვა შემოსავლები		8 579
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(781 097)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(67 372)
სხვა ხარჯები		(22 449)
საოპერაციო მოგება		736 439
ფინანსური შემოსავალი		843 787
ფინანსური ხარჯი		(1 209 227)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		18
მოგება დაბეგვრამდე		371 017
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		371 017
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		371 017

დირექტორი: ლაშა დაშნიანი



შპს "რეფიქსი"			
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)			
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	-	821 021	821 021
წმინდა მოგება	-	371 017	371 017
სხვა სრული შემოსავალი	-		-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1 192 038	1 192 038

დირექტორი: ლაშა დაშნიანი

შპს "რეფიქსი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	-	821 021	821 021
წმინდა მოგება	-	371 017	371 017
სხვა სრული შემოსავალი	-		-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1 192 038	1 192 038

დირექტორი: ლაშა დაშნიანი



შპს რეფიქსის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რეფიქსი (ს/კ 404439318) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა დისტრიბუცია, საბითუმო და საცალო ვაჭრობა ლაქ-საღებავებით და სხვადასხვა სამღებრო საშუალებებით.

კომპანია დაფუძნდა 2013 წელს. 2015 წლიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ლაშა დაშნიანი. (01003002181) მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული და ფაქტიური მისამართი: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ალექსანდრე თვალჭრელიძის მესამე შესახვევი #2

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

შსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2020 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2020 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	20-50
დანადგარები	6-8
სატრანსპორტო საშუალებები	6-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8
საოფისე აღჭურვილობა	4-8

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო

გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა -4

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპ ორტო საშუალებე ბი	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	დაუმონტ აჟებული მოწყობი ლებები	ჯამი
ლარში									
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	392 852	196 188	55 907	215 980	154 645	32 419	239 900	-	1 287 891
შესყიდვა	480 627	296 042	27 798	43 656	28 715	12 505			889 343
გასვლა		492 230	-	5 345	129	97			497 800
გაუფასურება									
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									
გადაფასების რეზერვი									
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	873 479	0	83 705	254 291	183 231	44 827	239 900	-	1 679 433
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	47 778	-	32 271	57 965	32 589	15 477			186 080
ცვეთის ხარჯი	37 715	-	9 617	33 863	19 600	6 603			107 397
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-		1 188	-	97			1 284
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	85 493	-	41 888	90 640	52 189	21 983	-	-	292 193
საბალანსო ღირებულება									
2019 წლის ბოლოს	345 074	196 188	23 636	158 015	122 056	16 942	239 900	-	1 101 810
2020 წლის ბოლოს	787 986	0	41 817	163 651	131 042	22 844	239 900	-	1 387 240

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2019 წლის ბოლოს	19 077			19 077
შემოსავლა	-			-
გასვლა	-		-	-
2020 წლის ბოლოს	19 077	-	-	19 077

დაგროვილი ამორტიზაცია	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2019 წლის ბოლოს	7 829			7 829
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	3 108			3 108
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			-	
2020 წლის ბოლოს	10 937	-	-	10 937

საბალანსო რირებულიება	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2019 წლის ბოლოს	11 248	-	-	11 248
2020 წლის ბოლოს	8 139	-	-	8 139

შენიშვნა-6

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2019	31.12.2019
ფული სალაროში	2 553	2 630
ფული საბანკო ანგარიშებზე	85 110	87 237
	87 664	89 867

შენიშვნა-7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	167 369	174 829
სხვა მოთხოვნები	177	-
	<u>167 546</u>	<u>174 829</u>

შენიშვნა-8 მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
ლარში	1 941 935	1 182 996
საქონელი	14 196	160 044
სხვა მარაგები	<u>1 956 130</u>	<u>1 343 040</u>

შენიშვნა-9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2019
ლარში	679 228	525 146
სავაჭრო ვალდებულებები	8 052	1 365
გადასახდელი ხელფასები	1 667	2 416
მიღებული ავანსები		7 297
სხვა ვალდებულებები	<u>688 947</u>	<u>536 224</u>

შენიშვნა-11

სესხები

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2020	31.12.2019
ბანკის სესხები	282 851	-	1 511 430	1 528 553
დაკავშირებული მხარეების სესხები				
სულ სესხები	<u>282 851</u>	<u>-</u>	<u>1 511 430</u>	<u>1 528 553</u>

შენიშვნა-12 ამონაგები

ლარი	31.12.2020
მზა პროდუქციის რეალიზაცია	6 059 195
ნედლეულის რეალიზაცია	-
მომსახურების რეალიზაცია	-
	6 059 195

შენიშვნა-13 თვითღირებულება

ლარი	31.12.2019
მზა პროდუქციის თვითღირებულება	4 460 418
ნედლეულის თვითღირებულება	-
მომსახურების თვითღირებულება	-
	4 460 418

შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31.12.2019
მარკეტინგის ხარჯი	5 251
საწვავის ხარჯი	38 698
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	13 952
სხვა ხარჯი	9 471
	67 372

შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	568 166
ცვეთა და ამორტიზაცია	110 505
საგადასახადო ხარჯი	10 619
კომუნალური ხარჯი	9 117
ბანკის მომსახურება	10 979
წარმომადგენლობითი ხარჯები	1 510
დაზღვევის ხარჯი	23 185
დაცვის მომსახურება	15 559
მივლინების ხარჯები	950
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	7 287
კომუნიკაციის ხარჯები	23 220
	781 097

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: ლაშა დაშნიანი

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: ლაშა დაშნიანი

